სსიპ - კოლეჯი
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

2018-2019 წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი, 2019 წელი

შესავალი

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ (შემდგომში - კოლეჯი) 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გაწერილია დაწესებულების მიერ დასახული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ამოცანები და აქტივობები. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სტრატეგიული მიზანი I - შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება:

კოლეჯმა 2018 წლის 6 სექტემბერს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მიიღო ავტორიზაცია, რომლის ფარგლებშიც მოიპოვა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური) განხორციელების უფლება:

1. კომპიუტერული ქსელი და სისტემები;
2. საოფისე საქმე;
3. საფინანსო სერვისები;
4. ბუღალტრული აღრიცხვა;
5. ვებპროგრამისტი;
6. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი;
7. სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი);
8. ინფორმაციის ტექნოლოგია;
9. საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი.

2019 წლის ზაფხულში, კოლეჯმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის N131 გადაწყვეტილებით მიიღო ორი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება:

1. აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება;
2. სამკერვალო წარმოება.

არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განვითარების მიზნით, შერჩევითი (რენდომული) მეთოდით სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის, ასევე საწარმოო პრაქტიკის მენეჯერებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით შიდა მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა მოდულების შედეგების დადასტურების პროცესებზე დასწრება. პროფესიულ მასწავლებლებს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები.

გერმანიის საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით (GIZ), დაწესებულებამ მოამზადა კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დუალური მიდგომით. ამ პროგრამის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია არის შპს „სკაიჰაი“. უახლოეს

პერიოდში დაგეგმილია ამ პროგრამის განაცხადის წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2018 წლის დეკემბრში, განხორციელდა კოლეჯის პარტნიორი კერძო სტრუქტურების გამოკითხვა. გამოკითხვა მიზნად ისახავდა მოდულური სწავლების პროცესის შეფასებას, შრომის ბაზრის მოკვლევას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან პრიორიტეტული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი - მსუბუქი ავტომობილის შეკეთება“ სახელოსნოს პროექტირების დაჩქარების მიზნით.

სტრატეგიული მიზანი II - ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა:

ამ სტრატეგიული მიზნის განხორციელების უზრუნველსაყოფად, 2018 წლის დეკემბრში დაიგეგმა დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლების, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა მათი საჭიროებების დადგენის მიზნით. ანალიზით დადგინდა, რომ გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების 7,7% - სრულად, ხოლო 23,1% ნაწილობრივ საჭიროებს დამატებით ტრენინგებს მოდულური სწავლების უკეთ წარმართვის მიზნითსა და პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და ვალიდური მტკიცებულებების მოპოვების კუთხით.

2018 წლის დეკემბერში გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციას დადებითად აფასებს, პროფესიულ სტუდენტებს მოსწონთ კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მიაჩნიათ, რომ კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსი დამაკმაყოფილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალიწინებულ შედეგებზე გასასვლელად. რაც შეეხება ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ, პროფესიული სტუდენტების საჭიროების დადგენის მიზნით განსახორციელებელ მეორე ეტაპის გამოკითხვას, რომელიც 2019 წლის მაისში უნდა ჩატარებულიყო, 2019 წლის საგაზაფხულო მიღების დაგვიანებით გამოცხადებული სარეგისტრაციო ვადების გამო, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლა ივნისში დაიწყო და მიჩნეულ იქნა, რომ გამოკითხვა ივლისში, სწავლის დაწყებიდან ერთ თვეში, მათი საჭიროებების დადგენის მიზნით, არ იქნებოდა ვალიდური. გამოკითხვა გათვალისწინებული იქნება მომავალი 2019-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

რაც შეეხება პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კვალიფიკაციის კუთხით განხორციელებულ აქტივობებს, კოლეჯში ამ მხრივ, მნიშვნელოვანი წინსვლებია. ასე მაგალითად, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის გაიმართა ტრეინინგი ციფრულ ხელოვნებაში, ხოლო ადმინისტრაციის წევრებისათვის - სტრატეგიულ დაგეგმვაში. კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების მიზნით, 2019 წლის ივლისში გაიმართა ტრენინგი მეწარმეობაში. კოლეჯში დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლების უმრავლესობა სერთიფიცირებულია.

2019 წლის მარტში პროფესიულმა განათლების მასწავლებელმა გიული გაგნიძემ „საფინანასო სერვისების“ N190-ე ჯგუფში გამართა საჯარო ლექცია თემაზე: „ნაღდი ანგარიშსწორების ოპერაციები“, ხოლო 2019 წლის ივლისში პროფესიული განათლების მასწავლებელმა ვასილ

ხუციშვილმა „საფინანასო სერვისების“ N191-ე ჯგუფში გამართა საჯარო ლექცია თემაზე „ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიძნები“.

სტრატეგიული მიზანი III - სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა:

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ მათი უმეტესობა კმაყოფილია მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით, მათ მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდებით, რაც დასტურდება შედეგების დადასტურების დადებითი მაჩვენებლით.

როგორც აღვნიშნეთ, 2018 წლის დეკემბრში განხორციელდა შერჩევის პრინციპით შედეგების დადასტურების პროცესებზე დასწრება, შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ეტაპობრივად მოხდა აღნიშნული რეკომენდაციების განხილვა. გარდა ამისა, 2019 წლის ივნისში კოლეჯში სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელდა შიდა ვერიფიკაციის საპილოტე ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც შემოწმდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ ერთი ჯგუფის შედეგები და შეგროვილი მტკიცებულებები. საპილოტე ვერიფიკაციის შედეგებს სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გვაცნობებს 2019 წლის სექტემბერში, რის შემდგომაც მოხდება მისი განხილვა კოლეჯში და დაინერგება თანამედროვე და ვალიდური შეფასების მეთოდები.

2018 წლის სექტემბრში დაიგეგმა სათანადო კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების თემატური ჯგუფების შექმნა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების მიზნით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და განხორციელების მიზნით, კოლეჯში იქმნება შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელთა თემატური ჯგუფები (ასეთი ჯგუფები შეიქმნა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებისა“ და „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით, ასევე თემატურმა ჯგუფმა იმუშავა „ინფორმაციის ტექნოლოგის“ დუალური მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შესამუშავებლად).

2018-2019 წლის განმავლობაში, კოლეჯში სისტემატიურად მიმდინარეობდა შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან, რის საფუძველზეც გაფორმდა 100-მდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯს და კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევების სფეროს კომპანიებსა და სხვადასხვა პროფესიულ დაწესებულებებს შორის. ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროგრამების სტანდარტების შემუშავების, პროგრამების განხორციელების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისა და განხორციელების პროცესში. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობენ პროგრამებში ცვლილების შეტანის ეტაპზე. მემორანდუმის საფუძველზე განხორციელდა სტაჟირების პროგრამა.

კოლეჯი თანამშრომლობს და მაქსიმალურ გათვლას ახდენს კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად მომავალში პროფესიული განათლების განვითარების პროცესში.

კოლეჯს გააჩნია სახელშეკრულებო ურთიერთობები, გაფორმებული აქვს მემორანდუმები, პრაქტიკის ობიექტები (პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი სტრუქტურული ერთეული არის დარგის შესაბამისი.

საწარმოო პრაქტიკაზე გასვლის წინ პროფესიული სტუდენტები ეცნობიან უსაფრთხოების წესებს, რასაც ადასტურებენ პირადი ხელმოწერით. ხელმოწერილი დოკუმენტი ინახება კოლეჯში.

კოლეჯი მიზნობრივ ჯგუფებში აწარმოებს საწარმოო პრაქტიკის დღიურს.

პროფესიული სტუდენტების საკვალიფიკაციო შეფასება ხდება, როგორც კოლეჯის წარმომადგენლის (პროფესიული განათლების მასწავლებელი) მიერ, ასევე პარტნიორი ორგანიზაციის აქტიური ჩართულობით.

სტრატეგიული მიზანი IV - კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა:

კურსდამთავრებულთა მაღალი რაოდენობის მაჩვენებლის შენარჩუნება კოლეჯის ერთერთი გამოწვევაა. დაწესებულებაში არსებული რეგულაციების თანახმად, პროფესიულ სტუდენტს, საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების რაოდენობის 1/3 - ის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რაც თავის მხრივ, არის სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების ერთერთი კომპონენტი. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებზე საბაზო და სრული ზოგადი განათლების მქონე პირებთან ერთად ირიცხებიან პირები, რომლებიც პარალელურად არიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები, ან დასაქმებული პირები, ეს ადამიანები ვერ ახერხებენ ლექციებზე დასწრებას და გაცდენების გამო ხდება მათი გარიცხვა, რაც აისახება კურსდამთავრებულთა რაოდენობის მაჩვენებელზე. კოლეჯის ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტებთან სისტემატიურად ატარებს შეხვედრებს პროფესიული განათლების მნიშვნელობის საკითხების თაობაზე, რომ ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება ნამდვილად არის დასაქმების წინაპირობა. წინა წლებთან შედარებით კურსდამთავრებულთა რაოდენობის მაჩვენებელი რამდენიმე პროგრამაზე გაიზარდა. გარდა ამისა, კოლეჯში იგეგმება ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდას.

სტრატეგიული მიზანი V - დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება:

ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, 2019 წლის აპრილში, კოლეჯმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან ერთად განახორციელა პროფესიული გადამზადების პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“, რომელიც ითვალისწინებს ქ. თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსების განხორციელებას ტურიზმის, მომსახურებისა და სამშენებლო სექტორში. თავის მხრივ, აღნიშნული კურსის განხორციელებამ ხელი შეუწყო პროფესიული განათლების მასწავლებელების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სასწავლო კურსები სრულად დააფინანსა ქ. თბილისის მერიამ.

ასევე, მიმდინარე წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების სწავლების ხელშეწყობის, პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ შორის 2017 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმისა და 2019 წლის 12 ივნისს გაფორმებული №156 ხელშეკრულების გათვალისწინებით, განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთ გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, „ავტომობილის

შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი“ და „მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი “.

კოლეჯი წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №9 დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში და განახორციელა პროგრამის ბენეფიციართა გადამზადება 6 მოკლევადიან პროფესიულ მომზადება-გადამზადების პროგრამაში.

2019 წლის გაზაფხულზე „პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 31 დეკემბრის №786 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში შემუშავებულ და 4 საჯარო სკოლაში განხორციელებულ იქნა პროფესიული უნარების კურსები „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და „ტანსაცმლის დიზაინი და კერვა“.

კოლეჯში ,,FAB-LAB“-ის განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო იყო შტატგარეშე თანამშრომელი - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორის პოზიციაზე. სამინისტროსთან შეთანხმებით, ჩატარდა ღია კონკურსი, რის შედეგადაც გამოვლინდა გამარჯვებული, რომელთანაც 2018 წლის 13 ნოემბრიდან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ პოზიციაზე.

2018 წლის 30 ნოემბერს კოლეჯში გაიმართა საქართველოს კოლეჯების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორების პირველი შეხვედრა, სადაც სტუმრად იყო მოწვეული სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების მენეჯერი ივანე ნაზღაიძე. შეხვედრაზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები Fab-Lab-ის განვითარებასთან დაკავშირებით.

2019 წლის 15-19 აპრილს კოლეჯის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში გაიმართა შეხვედრა სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან. მოსწავლეებმა დაათვალიერეს საგამოფენო სივრცე და გაეცნენ ,,Fab-Lab“-ის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის თანამედროვე დანადგარების შესაძლებლობებს.

2019 წლის 7 მაისში კოლეჯში გაიმართა შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, პრეზენტაცია - თემაზე „ინოვაციების რეალიზებაში ხელშეწყობა“.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო 2019 წლის 8-28 იანვარს მასპინძლობდა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტის (MIT) სტუდენტებს, როლებმაც კოლეჯში განართეს სამრეწველო ინოვაციების შესახებ ტრენინგი. აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულება, ტექნოლოგიების მიმართულებით ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ტრენინგი იყო მნიშვნელოვანი ფაბლაბის კოორდინატორებისა და სპეციალისტებისათვის.

2019 წლის 18-22 თებერვალს საქრთველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში გაიმართა ტრენინგი „CNC“ დანადგარზე მუშაობასთან დაკავშირებით, რომელშც ასევე მონაწილეობდა კოლეჯის წარმომადგენელი.

სტრატეგიული მიზანი VI - პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა:

ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად 2018 წლის დეკემბერში გაიმართა პროფესიული სტუდენტის ინტერესების კვლევა და კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად სათანადო აქტივობების განხორციელება. გამოკითხვამ აჩვენა, რომ კოლეჯის ადმინისტრაციას მჭიდრო

კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან, ეცნობიან ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და მიაჩნიათ, რომ ეს ინფორმაცია მათთვის საჭირო და სასარგებლოა, თუმცა, არის საკითხები, რაზეც ხარისხის მართვის მენეჯერსა და ზოგადად, შესაბამის პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, ევალებათ უფრო დეტალურად გააცნონ სტუდენტებს კოლეჯში არსებული რეგულაციები და ის ნორმატიული აქტები, რაც უშუალოდ მათთან კავშირშია.

კოლეჯი, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, აქტიურ ღონისძიებებს ახორციელებს. 2018 წლის ნოემბერში საგანმანათლებლო პორტალ „EDU.ARIS.GE-თან ერთად პროფესიული განათლების პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით მომზადდა სარეკლამო რგოლები, რომელთა შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. ამ რგოლის პრეზენტაცია 2018 წლის 4 დეკემბერს გაიმართა.

2018 წლის 19 დეკემბერს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის დახმარებით, კოლეჯმა უმასპინძლა გერმანულ კომპანია KLETT-GRUPPE-ის წარმომადგენლებს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საგამომცემლო სფერო, ასევე დაინტერესებულია საგანმანათლებლო მიმართულებით. აღნიშნული შეხვედრა ემსახურებოდა საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის გაცნობას.

2019 წლის განმავლობაში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებას მუდმივად სტუმრობდნენ ქ. თბილისის, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეები. ისინი ეცნობიან კოლეჯის პროგრამებსა და ინფრასტრუქტურას.

კოლეჯში მიმდინარე პროფორიენტაციის ღონისძიებები, ოფიციალური ვებ-გვერდი, სოციალური ქსელი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთან ერთად, საჯაროდ ვრცელდება სარეკლამო ბროშურები, რაც ხელს უწყობს მათ ჩართულობას და ინფორმირებას ნებისმიერ აქტივობასთან დაკავშირებით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნდება ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებში გამოცხადებულ ვაკანსიებზე, ასევე, ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად.

2019 წლის 15-16 ივნისს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციისა (GIZ) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ქ. თბილისში გაიმართა ფართო მასშტაბიანი ღონისძიება პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები (Skills4Georgia). ღონისძიების მიზანი იყო პროფესიული განათლების პოპოულარიზაცია გერმანიის გამოცდილების გათვალისწინებით. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო, როგორც კოლეჯის ადმინისტრაციამ, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა.

დასკვნა

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფის მიერ შეფასებულ და გაანალიზებულ იქნა 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულება, რომლის შედეგებზეც დაფუძნებული იქნება 2019-2020 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

N	სტრატეგიული მიზანი	ამოცანები	აქტივობები	განხორციელების ვადები												შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	საჭირო რესურსები	შესრულდა/ შესრულდა ნაწ./ არ შესრულდა
				VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII				
1	**შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება**	შრომის ბაზრის მოკვლევა	სახელმწიფო და კერძო სტუქტურების გამოკითხვა					*								კვლევის შედეგების ანალიზი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		შესრულდა ნაწილობრივ
			კურსდამთავრებულთა გამოკითხვა					*								კვლევის შედეგების ანალიზი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო / საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		არ შესრულდა
		არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განვითარება	ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება		*						*					საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაცია	დირექცია, ადმინისტრაცია		შესრულდა
			არსებული და ახალი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების განხორციელება და მონიტორინგი					*			*			*		სასწავლო პროცესზე დასწრების ანგარიშები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო / საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		შესრულდა
			"სატრანსპორტო საშუალებათა შეკეთება" - სახელოსნოს პროექტირება			*	*									სახელოსნოს პროექტი	დირექცია		შესრულდა ნაწილობრივ
2	**ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა**	ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებათა ანალიზი	ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა				*									გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი		შესრულდა
			პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოკითხვა				*									გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი		შესრულდა
			პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა				*						*			გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი		შესრულდა
			კვლევის შედეგების ანალიზი					*						*		გამოკითხვის შედეგი	ხარისხის მართვის მენეჯერი		შესრულდა
		კვლევის შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	ტრენინგის დაგეგმვა			*										ტრენინგის გეგმა	ხარისხის მართვის მენეჯერი		შესრულდა
			ტრენინგის ჩატარება/მონიტორინგი/მასტერკლასი			*										ტრენინგის/მონიტორინგის ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი		შესრულდა
			სერთიფიცირება					*								სერთიფიცირებული პროფესიული განათლების მასწავლებლის რაოდენობა	ხარისხის მართვის მენეჯერი		შესრულდა
		პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების კონფერენცია/ღია ლექციების ორგანიზება	კონფერენცია/საჯარო ლექციების დაგეგმვა და ჩატარება			*							*			ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		შესრულდა

3	**სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა**	ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა	სასწავლო პროცესში ინოვაციური მიდგომების განხორციელება და პროფესიული სტუდენტებისთვის მაღალი ტექნოლოგიების შეთავაზება				*								პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების დადასტურების მაღალი მაჩვენებელი	დირექცია, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		შესრულდა
		სასწავლო/საწარმოო პროცესის მონიტორინგის სისტემის განვითარება	შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად				*				*			*		ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი		შესრულდა
		თემატური ჯგუფების შექმნა	შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელთა თემატური ჯგუფების შეხვედრების დაგეგმვა და განხორციელება		*						*					ანგარიშები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი		შესრულდა
		თანამშრომლობის განვითარება კოლეჯებთან და დამსაქმებლებთან	საწარმოო ობიექტის მოკვლევა და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების წარმოება. დამსაქმებლებთან დაკავშირება და მათი დაინტერესება		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	შეხვედრები	დირექცია, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი		შესრულდა
			სასწავლო/საწარმოო პრაქტიკისთვის მემორანდუმების გაფორმება		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	მემორანდუმები	დირექცია, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი		შესრულდა
			პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკაზე გაშვების ორგანიზება		*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	მემორანდუმები	დირექცია, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი		შესრულდა
			პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასება											*		საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის სწავლის შედეგის დადასტურების მაღალი მაჩვენებელი	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		შესრულდა
4	**კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა**	განთესვის მაჩვენებლის მინიმალიზება	მიზეზების კვლევა											*		გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		შესრულდა
			კვლევის შედეგების ანალიზი												*	გამოკითხვის შედეგი	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		შესრულდა

			რეკომენდაციების შემუშავება												*	ანგარიში	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		შესრულდა
5	**დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება**	დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის სტრატეგიის დაგეგმვა/ განხორციელება	ახალი პროექტების შემუშავება, დაგეგმვა												*	პროექტი	დირექცია, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელი		შესრულდა
		ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორიის ამოქმედება	ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორიის ამოქმედების ნებართვის მიღება					*								ლაბორატორიის ამოქმედება	დირექცია, ადმინისტრაცია		შესრულდა
			ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით ინოვაციური ბიზნეს-პროექტების იდენტიფიცირება და განვითარება						*	*	*	*	*	*	*	შეხვედრები, მოლაპარაკებები	დირექცია, ადმინისტრაცია, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი		შესრულდა
6	**პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა**	პროფესიული სტუდენტების ჩართულობის გაზრდა კოლეჯის საქმიანობასა და აქტივობებში	პროფესიული სტუდენტების ინტერესების კვლევა				*						*			გამოკითხვა	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		შესრულდა
			კვლევის შედეგების გათვალისწინებით, აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება					*						*		ღონისძიებები	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი		შესრულდა
			ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა			*			*			*			*	ღონისძიებები	დირექცია, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		შესრულდა
		პროფორიენტაციის ღონისძიებების ორგანიზება	ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ "ღია კარის" დღეების ორგანიზება კოლეჯში		*						*					ანგარიში	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		შესრულდა
			ვებგვერდი/სოციალური ქსელებით რეკლამის წარმოება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	ანონსი/რეკლამა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ქსელის ადმინისტრატორი		შესრულდა
			სარეკლამო ბროშურების გავრცელება		*						*					ბროშურა	ადმინისტრაცია		შესრულდა
			პროფესიული განათლების ფესტივალების ორგანიზება/ მონაწილეობის მიღება		*						*					ღონისძიება, ფესტივალი	დირექცია, ადმინისტრაცია		შესრულდა
		კურსდამთავრებულთა ჩართვა კოლეჯის პოპულარიზაციაში	კოლეჯის კურსდამთავრებულების მონაწილეობა "ღია კარის": დღეებში, სხვადასხვა აქტივობებში		*						*					"ღია კარის" დღე/ღონისძიება	ადმინისტრაცია		შესრულდა
		კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა	ვაკანსიების მოძიება, კურსდამთავრებულთა ინფორმირება და რეკომენდაციის გაცემა	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	დასაქმებულთა სტატისტიკა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი		შესრულდა